



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიატომიტი

დიატომიტი, იზელგური, ინფუზორიული მინა, თეთრი, ღია ნაცრისფერი, მოყვითალო ან მომწვანო, ცარცისმაგვარი, ფოროვანი მსუბუქი დანალექი ქანი.

უმთავრესად შედგება ოპალისაგან ($\text{SiO}_2 \cdot n\text{H}_2\text{O}$), შეიცავს აგრეთვე კვარცის, გლაუკონიტის და თიხის მინარევებს. წარმოიქმნება ზღვებსა და ტბებში დალექილი დიატომეებიანი შლამისაგან.

დ-ს ახასიათებს დიდი ფორიანობა (50-90%), SiO_2 -ის მაღალი შემცველობა (60-95%), მცირე სიმკვრივე (350-950 კგ/მ³), დაბალი ბგერაგამტარობა.

იყენებენ ადსორბენტად და ფილტრად (კვებისა და ნავთობქიმ. მრეწველობაში), შემვსებად (საფეიქრო, ქაღალდისა და რეზინის წარმოებაში), აბრაზიულ და საშენ მასალად. რეკომენდებულია დ-ის გამოყენება სასუქების წარმოებაში.

საქართველოში სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს ქისათიბის დიატომიტის საბადოს.

გ. მაჩაბელი
